



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 467

18/01/2018

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2018 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის, მე-4 ნაწილის, მე-19 მუხლის „ბ,“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მეორე ნაწილის და „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 22 დეკემბრის #37 დადგენილების შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობისა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარების 2018 წლის პროგრამა თანდართული სახით.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო